

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის სანდრო გიორგაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	13	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	
წერის უნარი	18	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთხა	2	5	
პროფესიული აქტივობა	0	5	
ქულათა ჯამი	81	100	

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე

თარიღი: 16.09.2024





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 სექტემბერი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - სანდრო გიორგაშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **სანდრო გიორგაშვილი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბაშისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეკანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოძღვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 61 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 31 წელზე მეტია, მათ შორის აქვს მოსამართლედ მუშაობის თერთმეტწლიანი გამოცდილება. კერძოდ:

- 1993 – 1999 წლებში იყო ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- 1999 – 2004 წლებში - გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ამავე სასამართლოს თავმჯდომარე;
- 2004 – 2007 წლებში იყო გურჯაანის პროკურორის მოადგილე, პროკურატურის პროკურორი;
- 2007 – 2012 წლებში მუშაობდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთში“ იურისტის თანამდებობაზე;
- 2012 – 2021 წლებში იყო გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 2021 წლიდან - 2024 წლის მაისამდე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით ინსპექტირებისა და სამსახურებრივი შემოწმების მთავარი სამართველოს სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 2024 წლის მაისიდან - დღეშდე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით ინსპექტირებისა და სამსახურებრივი შემოწმების მთავარი სამართველოს სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს უფროსი.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

სანდრო გიორგაშვილის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი, თუმცა მოძიებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე კანდიდატი სანდრო გიორგაშვილი ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ იქნა ცხრა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკის მიერ.

კანდიდატის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის საკუთრებად რეგისტრირებულია - ყვარლის მუნიციპალიტეტ სოფელ გავაზში არსებული მიწის ნაკვეთები: 2 522 მ² ფართით, 30 000 მ² ფართით, 12 572 მ² ფართით, 9 897 მ² ფართით და 689 მ² ფართით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი შდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატის უფიქსირდება საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 8 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ სანდრო გიორგაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ვინაიდან სანდრო გიორგაშვილი გურჯანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მისი მოსამართლედ საქმიანობის შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის შე-3 პუნქტის შესაბამისად, ასევე, შესაფასებლად შევისწავლე სანდრო გიორგაშვილის მიერ განხილული, შექმნებულითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ:

1. გურჯანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/357-2003, 12 დეკემბერი, 2003 წელი;
2. გურჯანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/249-2003, 8 სექტემბერი 2003 წელი;
3. გურჯანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/86-2004, 13 ოქტომბერი 2004 წელი;

4. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/36-2004, 17 ივნისი 2004 წელი;

5. გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე -2004 წლის 30 ივნისი.

კანდიდატი მონაწილეობდა რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე, სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის მე-6 მუხლი), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ა.შ.).

კანდიდატს 2014 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; გამოვლინდა გარვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში, კერძოდ: არასრულად ჩამოთვალა მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, სრულყოფილად არ უსაუბრია სახალხო სუვერენიტეტის მნიშვნელობაზე, ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლზე, წამების აკრძალვის თაობაზე, კერ ისაუბრა ამსარულებლის ექსცესზე, მოკლედ განიხილა არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და სასამართლოს რეფორმის ტალღები.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 8 სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. გარდა ამისა, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსინება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმაციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გაძაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის შიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცი, შეუვალობა, შიუკერძოებელია პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ასევე - სამართლიანია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, შიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთივას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატს აქვს საქმიანი და მაღალი მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკურძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი სანდო გიორგაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატმა ვერ შეძლო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნის გამოვლენა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით,
უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური - 20);

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება. კანდიდატის მიურ განხილულ ორ სამოქალაქო და სამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების გაანალიზებით დგინდება, რომ ისინი დამაჯერებელია, თუმცა ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც, გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძინელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „შერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. საჯარო მოსმენისას დასმულ შეკითხვებზე მსჯელობისას კანდიდატს უმეტეს შემთხვევაში გაუჭირდა (შესაძლოა ნერვიულობის ფონზეც) პასუხის/აზრის გასაგებად გადმოცემა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ტეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით, (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებდა ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით;

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებები“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში არცთუ ხშირად მონაწილეობს; მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

კანდიდატი პრაქტიკულად არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს დად და თავისუფლად. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიუსტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატ სანდორ გიორგაშვილს ვანიჭებ 81 ქულას.



ლევანი თევზაძე